KA030109474027519

№ 01-475 **18 / იანვარი / 2019 წ.**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური
დაცვის მინისტრს ბატონ დავით სერგეენკოს

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების მართვისა და
საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის
უფროსის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელის სოფიკო ბელქანიას

მოხსენებითი ბარათი

ბატონო დავით,

მოგახსენებთ, რომ ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს ორგანიზებით მიმდინარე წლის 21-25 იანვარს ქ. ბრიუსელში (ბელგიის სამეფო) დაგეგმილია სამეცნიერო ვიზიტი ინტერვენციული რადიოლოგიისა და ნუკლეარული მედიცინის რეგულირების თაობაზე.

აღნიშნულ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მიზნით მიწვეულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - მარინა დარახველიძე.

ვიზიტთან დაკავშირებულ ხარჯებს (სასტუმრო, მგზავრობა და დღიური ნორმა) ანაზღაურებს მიმწვევი მხარე.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში, უზრუნველვყოფთ შესაბამისი მივლინების ბრძანების გაფორმებას ქალბატონი მარინა დარახველიძისათვის მიმდინარე წლის 20 იანვრიდან 26 იანვრის ჩათვლით.

პატივისცემით,

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსი, პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

სოფიკო ბელქანია